დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების აკადემიაში "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების ფარგლებში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:
თავმჯდომარე: ირმა ქორთუა

წევრი: ქეთევან ღვანიძე

Irma Kortua 19001010979
Digitally signed by Irma Kortua
Date: 2024.08.01 13:57:32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ---------შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: --------შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: ----------406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☑ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2024 წლის 6 ივნისს გამოცემული № 632166 ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში საჩხერეში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "აღმზრდელი" ფართის ცვლილებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა და ადგილზე ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ და ასევე ე ქვეპუნქტით განსაზღვრული ე.ა)და ე.ბ)კომპონენტის შესრულების შესაბამისობის შემოწმება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფართის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის და პესონალისთვის ახალი და თანამედროვე სასწავლო და სამუშაო პირობების შეთავაზება. ფართის ცვლილება განხორციელდა იმავე მუნიციპალიტეტში, ქ. საჩხერე, ივანე გომართელის #50ა, #52.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია 2024 წლის ივნისის თვეში და განხორციელდა ვიზიტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში 27 ივნისს ქ. საჩხერეში წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, სტუდენტებს, შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს, პრაქტიკის განმახორციელებლებს. ასევე ვიზუალურად შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოების, ინფორმაციის მართვის, შეფასებების და ვერიფიკაციის მექანიზმები.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელის" განხორციელებისათვის შექმნილია გაუმჯობესებული პირობები პროგრამის მიზნების მისაღწევად და სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის თანამედროვე და კომფორტული პირობების შესაქმნელად. ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.დ და ასევე ე)ქვეპუნქტით განსაზღვრული ე.ა)და ე.ბ)კომპონენტების შესრულება შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
აღმზრდელი	44	36	8	1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება „აღმზრდელი“	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

III გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ხარვეზი არ გამოვლენილა

IV .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.1.1 დაწესებულებას საკუთარ მფლობელობაში აქვს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 2652.00 კვ.მ. ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 35.02.57.401, მისამართი: ქალაქი საჩხერე, ივანე გომართელის ქ.N50ა, N52, სადაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა N10/3, რომლის საერთო ფართი შეადგენს 2605.7 კვ.მ-ს (პირველი სართული - 938.8 კვ.მ, მეორე სართული - 831.4 კვ.მ, მესამე სართული - 835.5 კვ.მ). შენობა-ნაგებობა დატვირთულია იპოთეკით(იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება „პროკრედიტ ბანკი“) დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, (ამონაწერის მომზადების თარიღი: 21.12.2023წ.) და საკადასტრო გეგმით, აზომვითი ნახაზებით.

საკუთარ მფლობელობაში მოძრავი ქონების და სასწავლო რესურსის ქონა დასტურდება წარმოდგენილი ხელშეკრულებებით, მიღება- ჩაბარების აქტებით, საგადასახადო დავალებებით, სასაქონლო ზედდებულებით, ანგარიშფაქტურებით და ადგილზე დათვალიერებით.

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა საქმიანობის განხორციელების მიზნებისათვის კეთილმოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორია (A სასწავლო გარემო) „აღმზრდელისა“და „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 2 ერთეული;
- თეორიული სწავლების აუდიტორია (AC სასწავლო გარემო) „ვებტექნოლოგიებისა“ და ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 1 ერთეული;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია (B სასწავლო გარემო) - 1 ერთეული;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია „ვებტექნოლოგიებისა“ და ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (B სასწავლო გარემო) - 2 ერთეული;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი//სახელოსნო/ლაბორატორია (C სასწავლო გარემო) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“, „ფარმაცია(სააფთიაქო)“ და „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის - 3 ერთეული;
- ადმინისტრაციული სივრცე (რექტორის მოადგილე, მრჩეველი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, დაცვა) - 4 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის - 1 ერთეული;
- სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის - 2 ერთეული;
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის/სივრცე პროფესიულ სტუდენტთა სპორტული ან შემოქდებითი საქმიანობისათვის - 1 ერთეული;
- ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით – 1 ერთეული;
- სივრცე არქივისთვის - 1 ერთეული;
- სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის - 8 ერთეული.

პროგრამისთვის „ აღმზრდელი“ საჭირო მოძრავი ქონების და სასწავლო რესურსების ფლობა დადასტურებულია თხოვების ხელშეკრულებით, რომელიც ითვალიწინებს მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემას 2030 წლის 1 მაისამდე. დოკუმენტის დანართი#1-ში წარმოდგენილი მოძრავი ქონების ჩამონათვალი შეესაბამება ადგილზე დათვალიერებით გადამოწმებულ რესურსებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

5.1.1.2 დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - აკადემიის რექტორის 2020 წლის 28 ივლისის №2/60 ბრძანება, დასტურდება პროფესიული სტუდენტების ხელმისაწვდომობა დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეებსა და მატერიალურ რესურსებზე. „მატერიალური რესურსების მართვის პროცედურით“ პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით.

აკადემიის რექტორის 2020 წლის 28 ივლისის №2/60 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“, რომელიც არეგულირებს დაწესებულების მატერიალური რესურსების სარგებლობის შესაძლებლობას. პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან იმ მატერიალური რესურსითა და მასალა-ნედლეულით, რაც აუცილებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, საერთო სარგებლობის სივრცეებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული აღჭურვილობით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 19:00-მდე გარდა დასვენების დღეებისა. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.

პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის გათვალისწინებით, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე.

აღნიშნულის დასტურად აკადემიის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსების, აღწერის, შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები, რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტები, დაწესებულების რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

5.1.1.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები“, (რექტორის 2024 წლის 13 ივნისის N2/72 ბრძანება) რომლითაც განსაზღვრულია სასწავლო და სამუშაო სივრცეების, სანიტარული კვანძების დასუფთავების წესი, პერიოდულობა. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.
დაწესებულების ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებენ სანიტარული სპეციალისტები, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და ურთიერთობა რეგულირდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის მიხედვით. სანიტარული სპეციალისტები ვალდებულნი არიან დაკისრებული მოვალეობები შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით შეასრულონ.
ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება რომ შენობის მოვლა-პატრონობა ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

5.1.1.4 დაწესებულების შენობა უზრუნველყოფილია გათბობა-კონდიცირება-ვენტილაციის ცენტრალური სისტემით. დაწესებულებამ 2023 წლის დეკემბერში გააფორმა ხელშეკრულება შ.პ.ს გამასთან, რომელმაც 2024 წლის აპრილამდე უზრუნველყო სისტემის მონტაჟი და ტესტირება, რის შემდგომაც გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. სწორი ექსპლუატაციის პირობებში ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია საგარანტიო უფასო მომსახურება 2 წლის განმავლობაში შ.პ.ს გამას მხრიდან. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომპანია „ენერგოპრო ჯორჯიას წერილი აკადემიის ქსელში მომხმარებლად დარეგისტრირებისა და აღიცხვის კვანძის შემოწმება - მიღების აქტი, ასევე კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. ადგილზე დათვალიერებით დასტურდება შემობის სამივე სართულზე სისტემის გამართული ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.1.1.5 დაწესებულებას ყავს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი, შრომის უსაფრთხოების მექანიზმები - რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული - „ სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკა“ და „შრომის უსაფრთხოების გეგმა“. გეგმა ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და აკადემიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას. შრომის უსაფრთხოების გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქცია-მოვალეობები, რისკების შეფასება და მართვა; პერსონალის სწავლება; უბედური შემთხვევების მოკვლევა; პროფესიული დაავადებების პრევენცია და მოკვლევა; საგანგებო სიტუაციების მართვა; მონიტორინგი და კონტროლი; შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების ერთწლიანი გეგმა.
აკადემიაში მომუშავე პერსონალისათვის განახლებად რეჟიმში ტარდება შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები. ყოველი ახლად მიღებული თანამშრომელი დასაქმებისთანავე გაივლის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოების ზოგადი წესების შესახებ, საკანონმდებლო მოთხოვნები (ზოგადი მიმოხილვა), ინდივუდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესები, სახანძრო უსაფრთხოება, პირველადი გადაუდებელი დახმარება, გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა და სხვა. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია (ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჟურნალები -„ ინსტრუქტაჟის და სწავლების ჩატარების ჟურნალი“, „სამუშაოების დროს უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) ინსპექტირების წესი“. ინსტრუქტაჟად ჩაითვლება ასევე დასაქმებულთან/მომსახურების გამწევთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომლის გაცნობაც სავალდებულოა. დაწესებულებაში გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება რისკების შეფასება. დაწესებულება ასევე აწარმოებს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის ჟურნალს

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობა-ნაგებობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (ცეცხლმაქრი, სახანძრო სტენდი), გამოყოფილია თავშეყრის ადგილი, ფუნქციონირებს საევაკუაციო გასასვლელები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალა- ნედლეულით უზრუნველსაყოფის მექანიზმები პროგამების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია მასალების შეძენა, შენახვის და გახარჯვის აღრიცხვის წესი. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის და პროგრამების მოდულებში შემავალი ნედლეულის გათვალისწინებით.
მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის დავალებით, ახორციელებს შესყიდვებს შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე, რომელიც მასწავლებელს გადაეცემა. მასწავლებელი აღნიშნულ ნედლეულს იყენებს მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად. გამოუყენებელ ნედლეულს პედაგოგი უკან აბრუნებს, რომელიც საწყობში ინახება. ნედლეულის მიწოდება- დაბრუნების აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონულ ჟურნალში.
კოლეჯის გარეთ, პარტნიორ ორგანიზაციაში პრაქტიკული კომპიონენტის განხორციელებისას, მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფას, მასალა-ნედლეულით მომარაგებას ახორციელებს ან კოლეჯი, ან პარტნიორი დაწესებულება, რაც ასახულია შესაბამის ხელშეკრულებებში;
აკადემიაში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი, რომელიც არის მალფუჭებადი და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, ასეთი შემთხვევებისთვის შესრულების მტკიცებულებების დასადასტურებლად კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია. შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აღირიცხება ელექტრონულად. მტკიცებულებები უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.
ზემოაღნიშნული პროცესის შესრულების დასტურად, აკადემიამ წარმოადგინა მასალა-ნედლეულის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ მოცემული რესურსის მიწოდების, ამ რესურსების შესყიდვის დოკუმენტები.
„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ - სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს; აკადემიის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება ხდება სასწავლო სივრცეში სანაგვე კონტეინერებში; პროგრამა „აღმზრდელი“ მიმდინარეობისას ადგილი არა აქვს რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოშობას, რის გამოც ნარჩენების შეგროვება ხდება აკადემიის სივრცეში სანაგვე კონტეინერებში და შემდგომ მუნიციპალური ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში. აკადემია გეგმავს მწვანე ყუთების დადგმას გამოყენებული მაკულატურის (დაქუცმაცებულ მდგომარეობაში) განსათავსებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას დათვალიერდა სასწავლო გარემო, მასალა-ნედლეული და შესწავლილ იქნა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. რამაც დაადასტურა სასწავლო პროცესში მასალა-ნედლეულის საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

5.1.1.7 დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალიწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასება-განვითარებას, კერძოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეფასების, აგრეთვე გამოკითხვის შედეგების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს ანგარიშს/რეკომენდაციებს თითოეული პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით. პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირებას ახდენს სასწავლო პროცესის სპეციალისტი ან/და სასერთიფიკატო პროგრამების კოორდინატორი ან/და განმახორციელებელი პირი მოხსენებითი ბარათით, რომელშიდაც უნდა ჩანდეს ცვლილებების საჭიროება. დასტურდება დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ და გასაუბრებებით.
სტუდენტების გამოკითხვები ტარდება ყოველი ნაკადის ფარგლებში მინიმუმ ერთხელ. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 წელს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანგარიშები. გამოკითხვის შედეგებით სტუდენტთა 87.2 % თვლის რომ სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისი და ხელმისაწვდომია; 91% აზრით სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) შესაბამისადაა აღჭურვილი. ანგარიშებში წარმოდგენილია რეკომენდაციები დაწესებულების რესურსების შემდგომ განვითარებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

5.1.1.8 ადგილზე დათვალიერებით დადატურებულია, რომ პსდ-ს შენობა-ნაგებობის სამივე სართულზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის; აღნიშნულ კრიტერიუმთან შესაბამისობას ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით „სანიტარულ- ჰიგიენური წესების დაცვა’ და ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმებულია შ.პ.შ „საჩხერე წყალკანალთან“, რომელიც პასუხისმგებელია სასმელი წყლის უწყვეტ, უსაფრთხო, საიმედო და ხარისხიან მიწოდებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

5.1.1.9 დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; დასტურდება ადგილზე დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

5.1.1.10 შენობის სამივე სართულზე სივრცეები ყველა სართულზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა განლაგებული დერეფნის ორივე მხარეს და არაა ერთმანეთში გამავალი აუდიტორიები. სასწავლო ფართზე სტუდენტების დასაშვებად არ არსებობს რაიმე სახის შეზღუდვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

5.1.1.11 რექტორის 2020 წლის 28 ივლისის №2/60 ბრძანებით დამტკიცებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშაო დღეებსა და საათებს, ბიბლიოთეკაში გაწევრიანების წესებს, ბიბლიოთეკის და მკითხველის უფლება - მოვალეობებს, საბიბლიოთეკო ერთეულის გატანისა და დაბრუნების საკითხებს. საგანმანათლებლო რესურსი აღრიცხულია საინვენტარო წიგნში, რომელიც დამუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. აკადემიაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „openbiblio”. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, 1 კომპიუტერი და 1 ასლგადამღები ტექნიკა, მაგიდა და სკამები როგორც ბიბლიოთეკარისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის.

აკადემიას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით დასტურდება რომ მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი სასწავლო საინფორმაციო დანიშნულებისაა და განკუთვნილია ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში/საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, ასევე ბიბლიოთეკის კატალოგში არსებული მასალის მოძიებისათვის. საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობის გარდა, დაწესებულების საბიბლიოთეკო სერვისები გულისხმობს ასლის გადაღებას, კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობას, ბიბლიოთეკარის კონსულტაციას. იმ შემთხვევაში, თუ მკითხველი არ ფლობს ტექნიკით სარგებლობის უნარ-ჩვევებს, ბიბლიოთეკარი ვალდებულია აღმოუჩინოს მკითხველს შესაბამისი დახმარება. ბიბლიოთეკარი ვალდებულია მოთხოვნისამებრ მომხმარებლებს მიაწოდოს ელექტრონული წიგნები/მასალები, ასევე საჭიროებისამებრ ბეჭდური სასწავლო რესურსები გააციფრულოს და მომხმარებლებს მიაწოდოს მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში; ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ბიბიოთეკით სარგებლობა პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ სამუშაო დღეებში 10.00 სთ.-დან 19.00 სთ ჩათვლით. აკადემიაში ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისებით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ბიბლიოთეკის მკითხველად, ბიბლიოთეკარი ახორციელებს შესაბამისი ჟურნალების წარმოებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; რეგისრაციის კოდი N 892023418428; 19/12/2023 და საკადასტრო გეგმა
2. ახალი კორპუსის შიდა აზომვითი ნახაზი - 15/12/2023
3. მოძრავ ქონებაზე თხოვების ხელშეკრულება ილია აიკობაშვილსა და შ.პ.ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას შორის. 01.05.2024
4. მატერიალური რესურსების შესყიდვისა და განახლების დოკუმენტაცია;
5. ხელშეკრულებები, საგადასახადო დავალებები და მიღება-ჩაბარების აქტები მომსახურეობების: გათბობა-კონდიცირება- ვენტილაციის სისტემის აღსაჭურვი მოწყობილობების მიწოდება-მონტაჟი, ინტერნეტის ქსელის მონტაჟი, ჩამწერი კამერების შესყიდვა- მონტაჟი; სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარის შესყიდვა- მონტაჟი;
6. ფორმა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალიწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების შესახებ; დანართი #1;
7. აკადემიის რექტორის 2024 წლის 13 ივნისის N2/72 ბრძანებით დამტკიცებული „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები“;
8. სამუშაო გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკა - დამტკიცებულია რექტორის 1.02.2021 წლის N2/06 ბრძანებით; ცვლილებები შესულია 17.11.2021 წელს რექტორის ბრძანებით; და 07.11.2022 წლის N 2/194 ბრძანებით
9. სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა
10. სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების დარგში ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალი
11. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი
12. „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა“
13. შრომის უსაფრთხოების გეგმა - დამტკიცებულია რექტორის 1.02.2021 წლის N2/06 ბრძანებით, ცვლილებები შესულია 17.11.2021 წელს რექტორის ბრძანებით და 07.11.2022 წლის N2/194 ბრძანებით
14. მატერიალური რესურსების გამოყენების წესი - დამტკიცებულია რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით; ცვლილება: ბრძანება N2/176 (24.10.2022)
15. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით ცვლილება: რექტორის ბრძანება N2/47 (29.03.2022); ბრძანება N2/115 (28.07.2022) ბრძანება N2/219 (23.12.2022); ბრძანება N2/90 (07.06.2023); ბრძანება N2/140 (08.09.2023);ბრძანება N2/157 (03.10.2023); ბრძანება N2/178 (19.10.2023); ბრძანება N2/213 (27.11.2023); ბრძანება N2/22 (13.03.2024)
16. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები -დამტკიცებულია რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022); ცვლილება შესულია: რექტორის N2/139 (08.09.2023)
17. წყალმომარაგების ხელშეკრულება #170 შ.პ.ს საჩხერე წყალკანალი
18. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი - დამტკიცებულია რექტორის 28.07.2020 წლის N2/60 ბრძანებით; ცვლილებები შესულია 2022 წლის 18 იანვრის რექტორის N2/5 ბრძანებით
19. დაწესებულების რესურსებით პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის დოკუმენტები;
20. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რისკების შეფასების შესახებ დოკუმენტაცია;
21. გასაუბრებების და ვიზუალური დათვალიერების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5.1.2.1 ფართის ცვლილების განაცხადის წარდგენისას დაწესებულებამ წარმოადგინა აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 მაისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „შესაბამისობის გეგმა“, რომლის თანახმად, ქ. საჩხერის ფილიალში მდებარე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი დადებითი დასკვნის მისაღებად, დაწესებულებას გაგზავნილი აქვს განაცხადი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში და შესრულების ვადად მითითებულია 2024 წლის 20 აგვისტო, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს, აკადემიამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო - ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2024 წლის 21 ივნისს გაცემული აქტი N269, რომლითაც დასტურდება შენობის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N№70.7023349001 ქ.საჩხერეში ი. გომართელის N50ა, N52-ში მდებარე შპს „ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის“ საგანმანათლებლო ცენტრის (სასწავლო კორპუსის) ექსპლოატაციაში მიღების შესახებ და საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41 - ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის შესახებ.

აკადემიაში ფუნქციონირებს აგრეთვე რექტორის 2021 წლის 01 თებერვლის N2/06 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება № 370 “სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციის საფუძველზე. ინსტრუქციის მთავარი მიზანი არის არ დაუშვას აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ჯამრთელობასა და სიცოცხლეზე რაიმე ზიანის მიყენება და ასევე დაიცვას აკადემიის საკუთრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

5.1.2.2 დაწესებულებაში მოქმედებს რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“ რექტორის 2024 წლის 05 ივნისის N1/26 ბრძანებით პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის ფუნქცია დამატებით შეთავსებული აქვს სასწავლო პროცესის მენეჯერს, რომლის კომპეტენცია დასტურდება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის გავლით. პირი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს პირს პირველადი გადაუდებელი დახმარება და/ან გამოიძახოს საასწრაფო სამედიცინო დახმარება, აწარმოოს შემთხვევების აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

პირველადი დახმარების პუნქტი განთავსებულია აკადემიის შენობაში პირველ სართულზე. პუნქტი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო რესურსებით, რომელთა ვადიანობასა და ვარგისიანობაზე პასუხისმგებელია ბრძანებით დანიშნული პირი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.
დაწესებულება აწარმოებს შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს. პუნქტთან თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ტელეფონის ნომრები, რომელზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების შემთხვევაში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

5.1.2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - აკადემიის რექტორის მიერ. საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე საჩხერის ფილიალზე პასუხისმგებელია დირექტორის მოოადგილე.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. საგანგებო მართვის გეგმაში განსაზღვრულია ფილიალების მიხედვით საგანგებო რეაგირების შტაბის შემადგენლობა და მათი ფუნქცია- მოვალეობები. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში აღწერილია მოსალოდნელი რისკები და გასატარებელი ღონისძიებები. გეგმის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამშრომელთა და სტუდენტთა დაცვის საერთო ორგანიზაციულსამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა, საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით, ორგანიზაციის შესაძლებლობისა და ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მხარდაჭერა, მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა, შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.
უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით დანიშნულია პირი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

5.1.2.4 დაწესებულებაში მოქმედებს რექტორის 2021 წლის 17 ნოემბრის N2/143 ბრძანებით დამტკიცებული „წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, და 2021 წლის 8 დეკემბრის N1/21 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“, რომლის დებულებების დაცვა სავალდებულოა აკადემიის თითოეული თანამშრომლისთვის და ის ითვლება შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა დისციპლინარული და მატერიალური პასუხისმგებლობები, უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებები.
დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დაცვის 2 სპეციალისთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წესრიგის დაცვაზე და კომპეტენციის ფარგლებში მუდმივად აკონტროლებენ ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობას, ამოწმებენ ცეცხლმაქრი საშუალებების ვარგისიანობას, საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, მონიტორინგს უწევენ სამეთვალყურეო აღჭურვილობის გამართულად მუშაობას, საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

შემთხვევაში ააქტიურებენ სპეციალურ სახანძრო სიგნალს, შეტყობინებას აგზავნიან საგანგებო სიტუაციების სამსახურში, ხელს უწყობენ ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ინტეგრაციას.
შინაგანაწესით განსაზღრულია ვიდეო კონტროლის მექანიზმები, რომლის ძირითად მიზანს შრომის და სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მატერიალური ქონების დაცვა, სასწავლო პროცესის უსაფრთხოება და საფრთხის არსებობისას სწრაფი რეაგირებისა და შესაძლო ზარალის მინიმიზაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს.
შინაგანაწესის ჩანაწერით და ასევე ადგილზე დათვალიერებით დასტურდება, რომ ვიდეოკონტროლი ხორციელდება დაწესებულების გარე პერიმეტრზე და შიდა პერიმეტრზე საერთო მოხმარების სივრცეებში. ვიდეო კონტროლი არ ხორციელდება ადმინისტრაციულ კაბინეტებში და სანიტარულ კვანძებში. ვიდეოკონტროლის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები განთავსებულია დაწესებულების მთელი ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილებში.
დაწესებულება უზრუნვეყოფს მის მფლობელობაში არსებული ქონების დაცვას, აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოებას, არსებობის შემთხვევაში აკადემიის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული პირების დახმარებას გადაადგილების დროს, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში შენობაში მყოფთა ევაკუაციას. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით აკადემიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული საევაკუაციო გეგმა, (რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება), წესრიგის დაცვის სხვა მანიშნებლები. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და ინვენტარით (ცეცხლმაქრები), მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის ა ქ ტ ი No 269; 21-06/2024.
2. საგანგებო მართვის გეგმა -27 აპრილი, 2022წ, - ცვლილება შესულია რექტორის N2/81 ბრძანებით (24/05/2023); რექტორის N2/214 ბრძანებით (27/11/2023)
3. საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან- 29/05/2024;
4. პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები - დანართი N4; დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით
5. აკადემიის რექტორის ბრძანება #126 - სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის დამატებითი ფუნქცია-მოვალეობებების განსაზღვრის შესახებ.
6. პირველადი დახმარების შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი - 2023-2024
7. შინაგანაწესი - 2024 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

5.2.1.1 აკადემიაში შექმნილი ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფას. აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო ასევე კაბელიანი ინტერნეტი, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, საგანმანათლებლო სივრცეები აღჭურვილია A,B C, გარემოს მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულ მუშობას უზრუნველყოფს კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, რომელიც აკონტროლებს როგორც ტექნიკურ გამართულობას, ასევე ხდენს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. ინტერნეტთან უწყვეტი კავშირის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროვაიდერ „შპს სქაიტელთან“ და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირთან.

დაწესებულე

ბაში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და პერსონალსა ინტერვიურების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

5.2.1.2 IT საქმიანობის ეფექტიანად და ხარისხიანად წარმარვის მიზნით, დაწესებულება ახორციელებს IT რისკების მართვას. აკადემია სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის განუყოფელი ნაწილი და უწყვეტი პროცესი.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებასა და შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ დაწესებულების ფუნქციონირებასთან მიმართებით, რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას და სხვა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება პირთან, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურაზე ზრუნვას და გამართულად მუშაობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

5.2.1.3 აკადემიაში ფუნქციონირებს რექტორის 2024 წლის 01 ივნისის N2/63 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სათანადო მასალების გაცნობით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ აკადემიისათვის მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა, აკადემიისათვის პერსონალური მონაცემების დაცვა მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს. დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბსამისად ხორციელდება. პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ კონკრეტული, განსაზღვრული მიზნებისთვის. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სუბიექტის თანხმობა, მონაცემთა დამუშავებას კანონი ითვალისწინებს, ან მონაცემთა დამუშავება აუცილებელია აკადემიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. პერსონალურ მონაცემთა დამუშვებისას აკადემიის ყველა თანამშრომელი მკაცრად იცავს კონფიდენციალობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს. კონკრეტული თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემების საიდუმლოება მათ შორის მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაშიც. აკადემიას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

5.2.1.4 დაწესებულებაში დარეგულირებულია IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და IT რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირის უფლება-ვალდებულებების, აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების მექანიზმების, ინფორმაციაზე წვდომის, პროგრამული უზრუნველყოფისა და ქსელის მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმების, ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების ადმინისტრირების საკითხები. აკადემია პერიოდულად ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დამაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5.2.1.5 აკადემიაში სასწავლო პროცესსა და ზოგადად, დაწესებულების საქმიანობაში გამოიყენება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფა, ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოლგი „Open Biblio”, უზრუნველყოფილია ასევე ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა. ზემოაღნიშნული ხელმისაწვდომია როგორც ადმინისტრაციის, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროფესიული სტუდენტების მიერ დაწესებულების სასწავლო და დამხმარე რესურსით, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

5.2.1.6 დაწესებულება პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებისთვის იყენებს ელექტრონულ საკომუნიკაციო მექანიზმებს. თანამშრომლები და პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ დაწესებულების დომეინით შექმნილი კორპორატიული მეილებით. საკომუნიკაციოდ გამოიყენება ასევე ვებ გვერდი და სოციალური ქსელებში საერთო/ჯგუფური ჩატები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა დაწესებულების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. რექტორის 2020 წლის 28 ივლისის N2/60 ბრძანებით დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;
2. რექტორის 2024 წლის 01 ივნისის N2/63 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“;
3. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
4. რექტორის 2022 წლის 31 იანვრის N2/13 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
5. ინტერნეტ პროვაიდერ „შპს სქაიტელთან“ გაფორმებული ხელშეკრულება;
6. პროფესიული სტუდენტების, პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგეი და ანალიზი;
7. პროფესიულ სტუდენტებსა და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

5.2.2.1 რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. დოკუმენტით რეგულირდებაშემოსული კორესპონდენციის მიღება, აღრიცხვა (რეგისტრაცია) და დაგზავნის მიდგომები, დოკუმენტების შედგენის, გაგზავნას, ინდექსებისა და რიგითი ნომრების მინიჭების, ბეჭდების გამოყენების, საარქივო დოკუმენტების ადმინისტრირების წესები. დაწესებულებამ წარმოადგინა სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელიც დამუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით. აკადემიის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

5.2.2.2 აკადემიაში დასაქმებული პერსონალი იყენებს ელექტრონულ ფოსტას, რომლის საშუალებითაც აქტიურად ხორციელდება ყოველდღიური საქმიანი მიმოწერა თანამშრომლებს შორის. დაწესებულების მმართველობითი და ადმინისტრაციული წარმოების მიზნით, პერსონალი ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (eFLOW). დაწესებულების მიერ წამორდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და პარტნიორებთან განხორციელებული მიმოწერა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

5.2.2.3 ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. დაწესებულების მიერ სისტემაში ასახულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხული პირების, პროგრამის განმახორციელებელი და ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ, ასევე ყველა ის კომპონენტი, რაც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის 2021 წლის 17 თებერვლის 11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტითაა განსაზღვრული, დაცულია ინფორმაციის სისტემაში ასახვის კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

5.2.2.4 რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესის“ თანახმად, განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს. დაწესებულებას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების შესრულების კონტროლსა და დროულ რეგირებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-167 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“;
2. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
3. ელექტრონული საქმისწარმოების (eFlow) სისტემა;
3. სარეგისტრაციო ჟურნალები;
4. ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

5.2.3.1 აკადემიის ოფიციალური ვებ გვერდია https://bta.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი ფეისბუქში, ინსტაგრამში, იუთუბსა და ლინკდინში, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია აკადემიის ისტორია, მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ინფორმაცია ადმინისტრაციის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პარტნიორების შესახებ; განთავსებულია ყველა ტიპის პროგრამა, რასაც დაწესებულები ახორციელებს, ჩარიცხვის პროცედურები, დაწესებულების შიდა აქტები, სიახლეები, ინფორმაცია პროექტების შესახებ, ვაკანსიები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. სოციალური ქსელის მეშვეობით ქვეყნდება, ასევე, დაწესებულებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და სიახლე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

5.2.3.2 აკადემია საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. დაწესებულების მისიასა და სამომავლო ხედვაში არ იკვეთება ინფორმაცია საერთაშორისო აქტივობების შესახებ, შესაბამისად, ვებგვერდი მხოლოდ ქართულენოვანია, ინგლისურ ენაზე განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

5.2.3.3 აკადემია ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების გვერდის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას განხორციელებული საქმიანობის, საგანმანათლებლო და მოკლევადიანი პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, ხანგრძლივობის, დაშვების წინაპირობის, დასაქმების შესაძლებლობების, პარტნიორი ორგანიზაციების, ღონისძიებების, საინფრმაციო შეხვედრების, ღია კარის დღეებისა და სხვა აქტივეობების შესახებ.

რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“, რომელიც არეგულირებს შიდა და გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა, კულტურული და ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობა, ვებ გვერდისა და სოციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ქსელების ფუნქცია და დანიშნულება, კომუნიკაცია თანამშრომლებთან, სტუდენტებთან/მსმენელებთან, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

5.2.3.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე.

კატალოგი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, მოცულობის, ხანგძლივობის, დასაქმების შესაძლებლობების, ასევე აკადემიის მიღწევებისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.2.3.5 აკადემია ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

5.2.3.6 დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია „კონტაქტის“ ველი, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა გააგზავნოს კითხვები/სურვილები/რეკომენდაცია. აკადემიაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ყველა მსურველს აქვს საშუალება დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. საზოგადოებასთან კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს დაწესებულების Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც, გვერდის ადმინისტრატორი პასუხობს დაინტერესებული პირებისგან შემოსულ შეკითხვებს.

დაწესებულების რექტორსა და სხვა წარმომადგენლებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. აკადემიის ოფიციალური ვებ გვერდი https://bta.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდები
2. აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები;
3. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
5. დომენი და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. რექტორის 2020 წლის 23 ივლისის N2/56 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი“
7. აკადემიის პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ. #50ა; 52
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	მოდულური, კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	44
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	36 (23 ერთ ჯგუფში და 13 მეორე ჯგუფში)
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	44
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

II ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ✔ ☐
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.2.1.1. ვიზიტის ფარგლებში შეფასდა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ თითოეული მოდულის მიხედვით წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ჩამონათვალი შესაბამისობაშია სარეკომენდაციო ხასიათის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალიწინებული შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს:

- A სასწავლო გარემო - მეორე სართულზე შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია #13, მხოლოდ პროგრამის „აღმზრდელი“ პროფესიული სტუდენტებისთვის (22 პროფესიულ სტუდენტზე) ერთი ცვლის გათვალისწინებით. კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ამ ეტაპზე დაწესებულებაში 36 აქტიური სტუდენტია (23 ერთ ჯგუფში და 13 მეორე ჯგუფში) დამატებით 1 სტუდენტის მიღება განხორციელდა ერთნაირი ქულების გამო. დაწესებულებამ დაამატა მაგიდა და სკამი და ამ ეტაპზე გარემო აღჭურვილია 23 სტუდენტისთვის საჭირო რესურსით. ოთახის ფართი იძლევა საშუალებას მაგიდა- სკამის დამატების და ასევე მაგიდები არის პატარა ზომის ყველა მოსაწვლისთვის ინდივიდუალური. გარემოში ასევე განთავსებულია დაფა, მაგიდა და სკამი პედაგოგისთვის, კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

- B სასწავლო გარემო - მეორე სართულზე აუდიტორია #16 - კომპიუტერული კლასი 30 პროფესიულ სტუდენტზე, 30 კომპიუტერით, 30 მაგიდა- სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც; პროფესიული მასწავლებლის მაგიდა და სკამი - 1ც; დემონსტრირების საშუალება - 1 ც; ქსელური პრინტერი - 1 ც; ფლეშმეხსიერება -1 ც; დაფა - 1ც. B სასწავლო გარემო გამოყოფილია ექვსი მიმდინარე პროგრამის 7 ჯგუფისთვის. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე დაანგარიშებულია აღნიშნული გარემოს გამტარიანობა. პროფესიული სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან(ინფორმაციული წიგნიერების მოდულზე) ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. საჩხერის ბაღების გაერთიანებასთან (რომელშიც გაერთიანებულია 21 ბაღი), აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად, ჯამში შეუძლიათ მიიღონ 30 პროფესიული სტუდენტი. ამ ეტაპზე 13 სტუდენტი პრაქტიკას გადის #1 საბავშვო ბაღში, სადაც პროფესიული სტუდენტები გადანაწილებული არიან ოთხ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მონაცვლეობით, რაც საშუალებას იძლევა გაეცნონ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, უშუალოდ ჩაერთონ ასაკის გათვალისწინებით დაგეგმილ აქტივობებში, თავად განახორციელონ კვირის განრიგი და დაწესებულების პერსონალის დახმარებით უზრუნველყონ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები, ჩეკლისტები, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ ფორმატში. დაწესებულება დაკომპლექტებულია ბაღის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კადრებით (სასწავლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი,სპეც.პედაგოგი, ფსიქოლოგი და ა.შ) დაწესებულებას აქვს ყველა სათანადო რესურსი პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე სათანადო შედეგების მისაღწევად.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.2.1.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზნით, თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი და მეტი პირი, სასწავლო გეგმის და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.

პროგრამით გათვალისწინებულია 9 დარგობრივი და 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირი, შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებთან. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაოს ლოკაცია, დატვირთვა, უფლება მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები

პროფესიული მასწავლებლები შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი შერჩევის წესის მიხედვით. თითო მოდულის განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელთან.პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და აკადემიის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

2.2.1.3. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადამოწმებამ აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. თითოეულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწვლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში.

მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში.

დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

2.2.1.4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც მისი პირადი საქმის შესწავლით, ასევე გასაუბრებით. აღნიშნულ პირს აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება 2015 წლიდან დღემდე და პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება 2021 წლიდან.

კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის ბრძანება. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები გაწერილია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი მოტივაცია და დარგობრივი კომპეტენცია უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე პროფესიული პროგრამის განხორციელებას, სრულად აქვს გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები, ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდეს პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მეცადინეობებზე პერიოდულად ესწრებოდეს პროგრამის განმახორციელებლებს, ჩართული იყოს შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესში და მის განვითარებაში.

დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

2.2.1.5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების გადამოწმება, ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. დარგის ექსპერტის მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა რამდენიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

სახელმძღვანელო. დადგინდა, რომ მოდულებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული სახითაც. ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში. კოლეჯის ელექტრონული წიგნების კატალოგი და მათი ელექტრონული ვერსიები ასევე ხელმისაწვდომია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზეც. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და ასლგადამღები ტექნიკა. ბიბლიოთეკაშივია მოწყობილი სამკითხველო პროფესიული სტუდენტებისთვის.

დასტურდება რომ ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

2.2.1.6. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია სსსმ და (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი, მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუ ცალკეულ შემთხვევებში საჭირო გახდება დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და თუ აღნიშნული საჭიროებების მქონე პირი მომართავს დაწესებულებას სწავლების სურვილით ამ შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი დამხმარე ტექნიკის შეძენას; საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ადაპტირებას, რაც გულისხმობს სასწავლო რესურსების შინაარსობრივ ან ვიზუალური ადაპტირებას. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, ასევე მოდულების მოდიფიკაციას, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას. თუ სწავლის შედეგები შეიცვალა, მაშინ ამან შესაძლოა გამოიწვიოს სასწავლო რესურსების ცვლილებაც.
ამ ეტაპზე დაწესებულებას აღმზდელის პროგრამაზე არ ჰყავს სსსმ პირები, თუმცა აღმზრდელის პროგრამაზე გამოცხადებულ მიღებაზე, გამოვლინდა ორი აპლიკანტი, რომელთაც მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნით მიენიჭათ სსსმ საჭიროების მქონე პირის სტატუსი. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკული მოსინჯვის დოკუმენტაციის ფორმა. ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულებას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევას უზურნველყოს ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და/ან ადაპტირება.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით ასევე განსაზღვრულია სსსმ და შშმ პირებისთვის სათანადო მხარდაჭერის ღონისძიებები, როგორიცაა: დაცვის თანამშრომლი უზრუნველყოფს პირის კონსულტაციას და დახმარებას, ასევე შეუფერხებელ გადაადგილებისა დაწესებულების მთელ ტერიტორიაზე, ადმინისტრაციის თანამშრომლი უზრუნველყოფს აღნიშნული პირების კომუნიკაცია–კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მისთვის სასურველი ლიტერატურის სასწავლო აუდიტორიაში მიტანას

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია და სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

2.2.1.7. დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული აქვს ბიუჯეტის შედგენის წესები და პასუხისმგებელი პირები საპროგნოზო შემოსავლების და ხარჯების და რეალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

კალკულაციის დასათვლელად თითოეული პროგრამისთვის დამოუკიდებლად, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის „აღმზრდელი“ ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია ჯგუფში მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

შემოსავლები მოიცავს მხოლოდ ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: ადმინისტრირების ხარჯი; პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურების ხარჯი; პრაქტიკის ხარჯი; მასალა-ნედლეულის ხარჯი; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები; პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები; მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები; რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები; კომუნალური ხარჯები, სესხის , ქონების, საპენსიო და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი. დაწესებულებამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ ფართის ცვლილება დაკავშირებულია გარკვეული ხარჯების გაზრდასთან, მაგალითად, როგორიცაა კომუნალური ხარჯები და ყველა პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობის მიხედვით პროპორციულად გადაანაწილა დამატებითი ხარჯები.

ბიუჯეტის შემუშავების წესით ასევე განსაზღვრულია ის რისკები, რომელმაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს პროგრამის ფინანსური მდგრადობა, მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში პროგრამის განხორციელების პროცესში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ჩამორჩება პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულ რენტაბელობის ზღვარს, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ, ისე რომ არ დაზიანდეს მათი კანონიერი ინტერესები. (ეს შესაძლოა იყოს დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა ამ პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის, ან მობილობის შეთავაზება)

შემოსავალი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას და სწავლების მიზნების მიღწევას

დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის თანამშრომლობის მემორანდუმი #7/476; 2019
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - დამტკიცებულია რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით ცვლილება: რექტორის ბრძანება N2/47 (29.03.2022); ბრძანება N2/115 (28.07.2022) ბრძანება N2/219 (23.12.2022); ბრძანება N2/90 (07.06.2023); ბრძანება N2/140 (08.09.2023);ბრძანება N2/157 (03.10.2023); ბრძანება N2/178 (19.10.2023); ბრძანება N2/213 (27.11.2023); ბრძანება N2/22 (13.03.2024)
- პროგრამის „ აღმზრდელი“ სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ფორმა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- მასწავლებელთა დატვირთვის ფორმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

- სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- გასაუბრებები და ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1.დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამა „აღმზრდელი“ და “ სასწავლო გეგმა“ დანართი #1 ; სასწავლო გეგმით უზრუნველყოფილია პროგრამის თანამიმდევრული განხორციელება, სასწავლო კურსების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის მოდულებით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტების ყოველკვირეული დატვირთვა. განსაზღვრულია საათები დამოუკიდებელი და საკონტაქტო სწავლებისა და შეფასებისთვის. დაწესებულებამ ექვსწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის #7/476 ქ. საჩხერის ბაღების გაერთიანებასთან.(21 ბაღი, 30 პროფესიული სტუდენტი) პრაქტიკის ობიექტზე სწავლების სასწავლო გეგმა თანხვედრაშია ბაღების სამუშაო გრაფიკთან.

სასწავლო პროცესი ძირითადად დამტკიცებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. სასწავლო გეგმაში დაცულია შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის, რაც დასტურდება გასაუბრებით პროფესიულ სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

4.1.1.2 აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ისე რომ, მოქნილობა არ ახანგრძლივებდეს სწავლების პერიოდს და არ იწვევდეს გაუთვალიწინებელ ხარჯებს სტუდენტის მხრიდან. აკადემიაში პროგრამა „ აღმზრდელი“ მიმდინარეობს ორცვლიანი რეჟიმით სწავლება. პროფესიულ სტუდენტები ჩართული იყვნენ სწავლების გრაფიკის არჩევაში და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უმრავლესობის ინტერესებიდან გამომდინარე. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია კონკრეტული პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის, სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. დასტურდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

4.1.1.3 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომელსაც დარგში მუშაობის გამოცდილება აქვს 2015 წლიდან დღემდე. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ სათანადო კომპეტენცია და მუდმივად ჩართული არიან სხვადასხვა სახის სწავლებებში. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვა კოლეჯებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. დაწესებულება გაწევრიანებულია „საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში“, სადაც სხვა კოლეჯებთან ერთად ჩართულია სწავლებაში თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დასანერგად სხვადასხვა ინსტრუმენტების შემუშავებაში. დაწესებულების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ასოციაციის დაგეგმილ კონფერენციებში.

პროგრამის „აღმზრდელი“ ორი მეწარმეობის მოდულის მასწავლებელი ჩართულია მეწარმეობის მოდულის პედაგოგთა დარგობრივ ქსელში, რომელსაც უნარების სააგენტოს კვალიფიციური სპეციალისტები უწევენ ფასილიტაციას. ქსელში პედაგოგები აზიარებენ სწავლების გამოცდილებებს, უახლეს მეთოდებს, ხვდებიან წარმატებულ მეწარმეებს, გადიან სხვადასხვა სწავლებებს, განსაკუთრებით სწავლების დიჯიტალიზაციის მიმართულებით. დასტურდება გასაუბრებებით და ასევე პროგრამის „აღმზრდელი“ რესურსების ჩამონათვალში მეწარმეობის სწავლების უახლოესი მეთოდური სახელმძღვანელოს არსებობით.

პედაგოგებს შორის მუდმივად ხორციელდება გამოცდილების გაზიარება სწავლება-შეფასების მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და მენეჯერების მხრიდან მუდმივად ტარდება პედაგოგების სწავლება სწავლება-შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებზე. პედაგოგებს გავლილი აქვთ საერთაშორისო ორგანიზაცია კივიტას გეორგიკას მიერ ორგანიზებული ტრენერთა ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, რომელიც ითვალისწინებს პოლონეთის სკოლამდელი განათლების გამოცდილების გაზიარებას.

დასტურდება ჩატარებული ტრენინგების მონაწილეთა სიით, გავლილი ტრენინგების სერთიფიკატებით, გასაუბრებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

2.4.1.4 დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ასევე „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღრულია სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტებით დეტალურადაა განსაზღვრული სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების საფუძველი და პროცედურები.

ამ ეტაპზე დაწესებულებას აღმზდელის პროგრამაზე არ ჰყავს სსსმ პირები, თუმცა აღმზრდელის პროგრამაზე გამოცხადებულ ახალ მიღებაზე, გამოვლინდა ორი აპლიკანტი, რომელთაც მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნით მიენიჭათ სსსმ საჭიროების მქონე პირის სტატუსი. დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკული მოსინჯვის დოკუმენტაციის ფორმა. ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულებას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევას უზურნველყოს ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და/ან ადაპტირება. დასტურდება დოკუმენტით „ პრაქტიკული მოსინჯვის ფორმით და გასაუბრებით ხარისხის მართვის მენეჯერთან.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

2.4.1.5 დაწესებულებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. საჩხერის ბაღების გაერთიანებასთან (რომელშიც გაერთიანებულია 21 ბაღი), აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, პრაქტიკის ობიექტებს ერთდროულად, ჯამში შეუძლიათ მიიღონ 30 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულება გაფორმებულია 2019 წელს ექვსი წლის ვადით.

„შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი“ - განსაზღვრულია პრაქტიკის ობიექტის შერჩევის კრიტერიუმები, კრიტერიუმის მონიტორინგი და გაფორმებული ხელშეკრულების აუცილებელი რეკვიზიტები.

გაფრომებული მემორანდუმით გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: თანამშრომლობის საგანი, პრაქტიკის განხორციელების პირობები, მხარეთა უფლება- ვალდებულებები, მოდული რომლის პრაქტიკული კომპონეტიც უნდა განხორციელდეს, ბაღების ჩამონათვალი, სადაც უნდა განხორციელდეს პრაქტიკის კომპონენტი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია და პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

4.1.1.6 პროგრამისთვის „აღმზრდელი“ დაწესებულება სარგებლობს ზოგადი უსაფრთხოების წესებით. პროგრამა არ საჭიროებს დამატებით რაიმე სახის სპეციფიურ უსაფრთხოების ზომებს. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია პრაქტიკის განმახორციელებელი, რაც ასახულია თანამშრომლობის მემორანდუმში.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის თანამშრომლობის მემორანდუმი #7/476; 2019
2. პროგრამა „ აღმზრდელი” სასწავლო გეგმა; დანართი #1
3. პრაქტიკული მოსინჯვის ფორმა
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022); ცვლილება შესულია: რექტორის N2/139 (08.09.2023
5. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/13 ბრძანებით (31.01.2022);ცვლილება შესულია: რექტორის N2/139 (08.09.2023)
6. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო პროცესის მართვის წესი -დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/14 ბრძანებით; ცვლილება: ბრძ. N2/168 (14.10.2022); ბრძ. N2/223 (23.12.2022); ბრძ. N2/61 (23.05.2024)
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელის“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის თანამშრომლობის მემორანდუმი #7/476; 2019
8. შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი - დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის N2/192 ბრძანებით (07.11.2022); ცვლილება: ბრძ.N2/15 (09.02.2023);ცვლილება: ბრძ.N2/91 (07.06.2023)
9. გასაუბრებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- შეფასების ინსტრუმენტების შერჩევის და შემუშავების პროცედურები
- შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა
- შერჩევის ინსტრუმენტების, მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნები
- შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები
- შეფასების ადმინისტრირება
- პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმები შეფასების შედეგებზე
- შეფასების აპელაციის წესი
- განმეორებითი შეფასების წესი და პროცედურა
- შეფასების მტკიცებულებების მოპოვების და შენახვის წესი: შეფასების ჩატარების, გასწორების და საბოლოო შეფასების ვადები, რამდენჯერ შეუძლია განმეორებით შეფასებაზე გასვლა, შეფასების ინსტრუმენტი
- დუალური პროგრამის შემთხვევაში, შეფასებაზე პასუხისმგებლობა და შეფასების წესი

დაწესებულებაში მოქმედებს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემა, რაც გულისხმობს შეფასების მიმართ შემდეგი მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როგორიცაა: სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა. დასტურდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და გასაუბრებებით.

დაწესებულება თეორიული კომპონენტის შესაფასებლად იყენებს https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse პლატფორმას. პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას; ასევე განმეორებითი შეფასების დროს დაწესებულება ცვლის შეფასების ინსტრუმენტს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია და პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2.4.2.2 დაწესებულებაში მოქმედებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფუკაციის სისტემა- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“(რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანება) მუხლი 47; რომლითაც განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმები და რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია. ვერიფიკაციის პროცესზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ვერიფიკაციის მექანიზმით დარეგულირებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: პასუხისმგებელი პირები - ვერიფიკაციის ჯგუფის და მისი ხელმძღვანელის განსაზღვრა, განმახორციელებელი, შერჩევის პრინციპები, პროცესის აღწერა, დასკვნა და მისი განხილვა, სამოქმედო გეგმა, ანგარიშგება.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; შეფასების პროცესის და შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ინსტრუმენტის და მტკიცებულების. ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობააშერჩევითი პრინციპით.

ვერიფიკატორი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყო ვალიდური, რელევანტური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართულად, გასაგები ენით დაწერილი და უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას. შეფასების პროცესის ვერიფიკაციის დროს მოწმდება არის თუ არა დაცული შეფასების პროცედურები, არის თუ არა ის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური.

2023 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა პროგრამის „ აღმზრდელი“ ვერიფიკაცია შემდეგ საკითხებზე : არის თუ არა ვალიდური გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები; არსებობს თუ არა შეფასების მტკიცებულებები ყველა პროფესიული სტუდენტისათვის; სწორია თუ არა მიღებული შეფასების გადაწყვეტილებები. დასკვნაში წარმოდგენილია ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი ჯგუფი და მათი ფუნქციები, ვერფიკაციის გეგმა-გრაფიკი, რისკ ფაქტორების სქემის გათვალისწინებით შერჩეული მოდულები, ძირითადი მიგნებები, გამოკითთხულ სტუდენტთა შედეგები, ვერიფიკაციის ჯგუფის რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

2.4.2.3 დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის წესი - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, მუხლი 41. შექმნილი პროდუქტი, რომელიც არის მალფუჭებადი და განკუთვნილია კონკრეტული მოდულის შედეგის დადასტურებისათვის, კონკრეტული პროდუქტისათვის ივსება სპეციალური ფორმულარი (ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა) და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას შექმნილი ელექტრონული პროდუქტი (თუ ეს დაკავშირებულია შედეგის დადასტურებასთან, ანუ წარმოადგენს მტკიცებულებას), იწერება ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის/პროექტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აღირიცხება ელექტრონულად. მტკიცებულებები უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია და პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

2.4.2.4 . დაწესებულებაში მოქმედებს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, პროფესიულ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი -დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით; ბოლო ცვლილება :რექტორის ბრძანება N2/22 (13.03.2024)
2. https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse პლატფორმის დათვალიერება
3. .გასაუბრებები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და მენეჯერთან, სტუდენტებთან.
4. სამსახურებრივი ბარათი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ შემუსავებული ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, შეფასების პროცესის განხორციელების ვერიფიკაციის რისკფაქტორების სქემა. 13/06/2024; # 00005849
5. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი; 2024 წელი
6. შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარი
7. ვერიფიკაციის ანგარიში - 2023-2024 წ
8. ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი; 2022, 2023, 2024 წლები
9. გასაუბრებები და ადგილზე დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

01.08.2024 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერები: